



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვათეიშვილი (ვათაძე) ჯუანშერ ლევანის ძე



ვათეიშვილი (ვათაძე) ჯუანშერ ლევანის ძე (დ. 8. X. 1931, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1990), რფ მეცნ. დამს. მოღვაწე (1992). საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი [1990. პრემია მიენიჭა არნ. ჩიქობავასთან ერთად მონოგრაფიისათვის „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“ (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე), თბ., 1978]. 1954 დაამთავრა მოსკ. სახელმწ.

უნ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. პრეზიდიუმში (პრეზიდენტის თანაშემწედ, განყ-ბის გამგედ), 1960-62 - ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში (1962-64 სწავლული მდივანი). 1985-იდან მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტ. სამეცნ.-კვლ. მუზეუმის დირექტორია, 1988-იდან - გერმ. სამეცნ. საბ-ბის „გიორგესგებელშაფტის“ (ქ. კიოლნი) ნამდვილი წევრი. 1992-იდან ხელმძღვანელობს მოსკოვში თავისსავე დაფუძნებულ ალექსანდრე და პეტრე ბაგრატიონების სახ. საერთაშ. ფონდს, 1996-იდან კი - ამსტერდამში ნიკოლაას ვიტსენისა და ალექსანდრე ბაგრატიონის სახ. ქართ. სამეცნ.-კულტ. ცენტრ „გეორგიკას“. ვ-ის სამეცნ. ინტერესების სფერო მოიცავს საქართვე. ურთიერთობათა ისტორიას რუსეთთან და დას. ევრ. ქვეყნებთან. 1977-82-90, როგორც იუნესკოს სტიპენდიანტმა, ხუთი ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, შვედეთი) არქივებში მოიძია ვრცელი დოკუმენტური მასალა დას. ევროპის ქვეყნებთან საქართვე. ისტ. ურთიერთობის შესახებ.

თბზ.: საქართველო-რუსეთის მეცნიერულ-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, №4; Русская общественная мысль на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973; П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, тб.,

1978 (თახაავტ. ა. ბარბაქაძე); Грузия и европейские страны. Очерки истории взаимоотношений XIII–XIX вв.; т.1 – Грузия и Западная Европа XIII–XVII вв., т. 2 – Побратим Петра Великого. Жизнь и деятельность Александра Багратиони; т. 3 – Грузия и Россия X–XIX вв., М., 2003–04; Die Anfänge des georgischen Buchdrucks, «Georgica», Јена –Тб., 1980; The first Georgian printed Bible: on the history of its appearance, «Estudios Biblicos», v. 41, cuad. 3–4, Madrid, 1983; Origine e vicende editoriali della prima Biblia in lingua georgiana, «Nicolaus», Bari, 1986, Fasc. 1; Pietro Della Valle and his „information on Georgia“ of 1626, «Regnum Dei», 2000, №126.
